01/03/2024

MES 3 24 0000253570

სააპელაციო საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 16.02.2024
სხდომის დაწყების დრო: 17:00 საათი
სხდომის დასრულების დრო: 17:50 საათი
საბჭოს თავმჯდომარე: ირაკლი ბურდული
სხდომის მდივანი: ანა საბახტარიშვილი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში - დებულება) 28[5]-ე მუხლის მე-14 პუნქტის საფუძველზე სააპელაციო საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით. საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

სააპელაციო საბჭოს (შემდგომში - საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. **ირაკლი ბურდული** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, ამავე უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარე;
2. **ანა საბახტარიშვილი -** ა(ა)იპ - ინფრასტრუქტურის მშენებელთა ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი - საბჭოს მდივანი;
3. **გივი გაგნიძე** - სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის „ახალი სკოლის მოდელის მხარდამჭერი" პროგრამის საგანმანათლებლო ლიდერობის ექსპერტი ;
4. **არჩილ სუმბაძე** - ა(ა)იპ - საქართველოს სკოლის ადმინისტრატორთა ასოციაციის გამგეობის წევრი, შპს "ბაქს ვუდის საერთაშორისო სკოლა - თბილისის" აკადემიური დირექტორი
5. **გიორგი ტრაპაიძე** - სს "ენერგო-პრო ჯორჯიას" ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის უფროსი;
6. **კახაბერ ფარცვანია** - შპს "თანამედროვე განათლების აკადემიის" ფრანგული ენის მასწავლებელი;
7. **თამარა თორია -** ა(ა)იპ - საქართველოს ფერმერთა ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი;
8. **აკაკი ხელაძე -** სსიპ - ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი, მენეჯმენტი-ბიზნესის მიმართულებით;

სხდომაზე დამსწრე პირები:

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

№	სახელი, გვარი	სტატუსი
1	ნიკოლოზ ფარჯანაძე	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი
2	ქეთევან ინანაშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე
3	ლალი ოდიშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

	სახელი გვარი	საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	პოზიცია
1	ვახტანგ ლეჟავა	შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი	რექტორი
2	მარინა ქარჩავა		პრორექტორი სასწავლო პროცესის მართვის საკითხებში
3	ანკა თაბუკაშვილი		ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი
4	მარიამ მოქია		ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი
5	თამუნა გეგეშიძე		აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების მენეჯერი
6	ირინა პოპიაშვილი		ვიზუალური ხელოვნების, არქიტექტურისა და დიზაინის სკოლის დეკანი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28^5 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ ირაკლი ბურდულმა.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28^5 მუხლის მე-5 პუნქტის, შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28^7 მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგის პროექტი:

1. შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის "ვიზუალური ხელოვნების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი სააპელაციო საჩივრის განხილვა;

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით
√ არა

სხდომის დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის "ვიზუალური ხელოვნების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი სააპელაციო საჩივრის განხილვა;

პირველი საკითხი: შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის "ვიზუალური ხელოვნების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი სააპელაციო საჩივრის განხილვა;

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ვიზუალური ხელოვნება
2	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
3	კვალიფიკაციის დონე	VI
4	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0213 სახვითი ხელოვნება
5	კვალიფიკაციის დასახელება	სახვითი ხელოვნების ბაკალავრი
6	სწავლების ენა	ქართული
7	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
8	პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტებული №1721520, 15/12/2023

საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება/თვითაცილება
√ არა
ცენტრის თანამშრომელმა ზუმის (Zoom Meeting) საშუალებით უზრუნველყო საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლებისა და სააპელაციო საბჭოს წევრების ჩართვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ სააპელაციო საჩივარსა და თანდართულ დოკუმენტაციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარე, ირაკლი ბურდული მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და შეახსენა, რომ 2024 წლის 02 თებერვლის №105401 გადაწყვეტილებით, მათ წარმოებაში მიიღეს შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის "ვიზუალური ხელოვნების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი სააპელაციო საჩივრი.

კერძოდ, სააპელაციო საჩივარი ეხება აკრედიტაციის პროცესის ფარგლებში შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის "ვიზუალური ხელოვნების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების შესახებ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2023 წლის 15 დეკემბრის №1721520 გადაწყვეტილებას. კერძოდ აღნიშნული გადაწყვეტილების საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის ვალდებულებით.
საბჭოს თავმჯდომარემ, ირაკლი ბურდულმა მიმართა საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ მათი პოზიცია და მოსაზრება.
საგანმანათლებლო დაწესებულების ხელმძღვანელი, ვახტანგ ლეჟავა მიესალმა სხდომაზე დამსწრე საზოგადოებას და განაცხადა, რომ "ვიზუალური ხელოვნების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამამ მესამედ გაიარა აკრედიტაციის პროცესი და აღნიშნა, რომ წინა პროცესში დაწესებულებას არცერთი რეკომენდაცია არ განესაზღვრა შესასრულებლად. ასევე აღნიშნა, რომ მიმდინარე აკრედიტაციის პროცესში, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, რომლის თავმჯდომარეც იყო საერთაშორისო ექსპერტი, შედგენილი დასკვნა ასევე არ შეიცავდა არცერთ რეკომენდაციას. თუმცა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭომ აღნიშნულ საგანმანათლებლო პროგრამას განუსაზღვრა 9 რეკომენდაცია, რომელიც ეჭვს ბადებს გადაწყვეტილების სამართლიანობასა და მიზანშეწონილობასთან. მან ასევე აღნიშნა, რომ "ვიზუალური ხელოვნების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის პარალელურად აკრედიტაციაზე წარდგენილი იყო დაწესებულების იგივე სკოლის 2 საგანმანათლებლო პროგრამა, რომელთა მიმართებითაც რეკომენდაციები არ დამატებულია და მიიღეს სრული აკრედიტაცია, ყოველგვარი პირობის გარეშე. მიუხედავად იმისა, რომ ამ 2 საგანმანათლებლო პროგრამაში არსებობს რიგი საერთო სილაბუსები და თემები, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭომ მხოლოდ "ვიზუალური ხელოვნების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას განუსაზღვრა რეკომენდაციები და ეს გახდა 1 წლიანი ანგარიშის წარდგენის საფუძველი. მაგალითისთვის მოიყვანა პლაგიატის და კეთილსინდისიერების დადგენის მექანიზმები, რომელიც საუნივერსიტეტო დონეზეა გაწერილი და ვრცელდება ყველა საგანმანათლებლო პროგრამაზე. მან ასევე აღნიშნა, რომ ყველა დამატებული რეკომენდაცია მოკლებულია საფუძველს და არ არის დასაბუთებული, თუ რა გარემოებამ გამოიწვია ამ რეკომენდაციების დამატება.
ვახტანგ ლეჟავამ ასევე განაცხადა, რომ "ვიზუალური ხელოვნების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა არის ძალიან წარმატებული და მოთხოვნადი. მისი კურსდამთავრებულებიც წარმატებული ადამიანები არიან მათი საქმიანობის სფეროში და შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულება ვერ ხედავ იმ ხარვეზებს, რამას შეიძლება დაავალდებულოთ დაწესებულება ერთ წელში ანგარიშის წარმოდგენით, ასეთი გარემოებები არც საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომის განხილვაზეც გამოკვეთილა.
ვახტანგ ლეჟავამ აღნიშნა შემდეგ რეკომენდაციასთან დაკავშირებით:
- *„რეკომენდებულია, სასწავლო კურსის „პოლიტიკური იდეოლოგიები“ მიზანი შესაბამისობაში მოვიდეს სწავლის შედეგებთან და შეფასების კომპონენტებთან“,*
მისი მოსაზრებით, სასწავლო კურსი *„პოლიტიკური იდეოლოგიები“* არის საუნივერსიტეტო საგანი და ისწავლება ყველა საგანმანათლებლო პროგრამაში, შესაბამისად შემოწმებულია ყველა პროგრამაში, რომელიც უსდ-ს წარდგენილი ჰქონდა სააკრედიტაციოდ, თუმცა მასთან დაკავშირებით რეკომენდაცია არ გაცემულა სხვა არცერთი საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებისას.
ვახტანგ ლეჟავა შეეხო ასევე აღნიშნა შემდეგ რეკომენდაციას:
„რეკომენდებულია, სასწავლო კურსების „ვიზუალური ხელოვნების სტუდია 1“, „ვიზუალური ხელოვნების სტუდია 2“, „ხატვის სტუდია 1“ და „ხატვის სტუდია 2“ სასწავლო კურსის მიზანი ,სწავლის შედეგები გადაიხედოს და გასწორდეს გადაფარვის კონკრეტული შემთხვევები“,

მან განაცხადა, რომ აღნიშნული სასწავლო კურსები ასევე გათვალისწინებულია იმ ორ საგანმანათლებლო პროგრამაშიც, რომლებმაც პარალელურად გაიარეს აკრედიტაცია, თუმცა არც ექსპერტებს და არც საბჭოს წევრებს სასწავლო კურსებს შორის გადაფარვაზე რეკომენდაცია არ გაუციათ. ასევე განმარტა, რომ ეს არის ხელოვნების მიმართულების პროგრამა და ძნელია მათში მკვეთრად გაავლო ხაზი, თუ რას ისწავლის სტუდენტი, მაგალითად - „ხატვის სტუდია 1“ და „ხატვის სტუდია 2“ სასწავლო კურსის ფარგლებში. ამ სტუდიების არსებობის მიხედვით, უსდ ცდილობს სტუდენტებს განუვითაროს გამოხატვის უნარი და შეასწავლოს შესაბამისი ტექნოლოგიები, რაც გარკვეულ წილად შესაძლებელია რაღაც საკითხების განმეორებას იწვევდეს. მიუხედავად იმისა, შედეგები მსგავსია, სტუდენტს თუნდაც გამოხატვის უნარი უნდა განუვითარდეს და გაიზარდოს, როდესაც „ხატვის სტუდია 1“-დან ის გადადის „ხატვის სტუდია 2“ სასწავლო კურსზე. შესაბამისად უნივერსიტეტი რთულად თვლის, თუ როგორ გაიწეროს აღნიშნული სასწავლო კურსების სწავლის შედეგები ისე, რომ გაიმიჯნოს და არ გადაფაროს ერთმანეთი. შესაძლებელია ფორმალურად მოხდეს დოკუმენტაციის შედგენა და საკითხების გამიჯვნა, თუმცა პედაგოგიური თვალსაზრისით, ეს შეუძლებელია.

შემდეგ რეკომენდაციასთან დაკავშირებით:

- *„სილაბუსში „ფოტოგრაფიის სტუდია“ კურსის მიზანი და შინაარსი მოვიდეს შესაბამისობაში დაემატოს არჩევითი კურსი ვიზუალური ხელოვნების მომიჯნავე ხელოვნების სინთეზურ დარგებში“,*

განაცხადა, რომ აღნიშნული სასწავლო კურსი ასევე გათვალისწინებულია იმ ორ საგანმანათლებლო პროგრამაშიც, რომლებმაც პარალელურად გაიარეს აკრედიტაცია, თუმცა არც ექსპერტებს და არც საბჭოს წევრებს სასწავლო კურსებს შორის გადაფარვაზე რეკომენდაცია არ გაუციათ.

ვახტანგ ლეჟავამ შემდეგ რეკომენდაციასთან დაკავშირებით:

- „დაემატოს არჩევითი კურსი ვიზუალური ხელოვნების მომიჯნავე ხელოვნების სინთეზურ დარგებში“,

აღნიშნა, რომ თუკი აღნიშნული სასწავლო კურსის არსებობა პროგრამაში აუცილებელია, მაშინ ის არჩევით საგნებში არ უნდა იყოს, თუ არ არის აუცილებელი ამ სასწავლო კურსის არსებობა, მაშინ რეკომენდაციის სახე რატომ აქვს. ეს გაუგებარია მათთვის, რჩევაში შესაძლებელია იყოს და უნივერსიტეტი მიიღებდა ამ საკითხს.

შემდეგ რეკომენდაციასთან დაკავშირებით:

- *„რეკომენდებულია უსდ - მ შეიმუშაოს აკადემიური კეთილსინდისიერების დადგენის მექანიზმი“,*

განაცხადა, რომ უსდ-ს აღნიშნული მექანიზმები შემუშავები აქვს. ასევე ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაშიც არის ნახსენები, რომ თავად შეფასების პროცესიც ისე არის ორგანიზებული, რომ თავისთავად გამორიცხავს პლაგიატისა და არაკეთილსინდისიერების საკითხებს სახელოვნებო დარგებში.

შემდეგ რეკომენდაციასთან დაკავშირებით:

- *„რეკომენდებულია, სასწავლო კურსის „კრიტიკული აზროვნება ვიზუალურ ხელოვნებაში“ შეფასების კომპონენტი „დასწრება“ გადაიხედოს და შესაბამისობაში მოვიდეს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის № 3 ბრძანებასთან“,*

მან აღნიშნა, რომ მოცემული სასწავლო კურსი ასევე გათვალისწინებული იმ ორ საგანმანათლებლო პროგრამაშიც, რომლებმაც პარალელურად გაიარეს აკრედიტაცია, თუმცა არც ექსპერტებს და არც საბჭოს წევრებს სასწავლო კურსებს შორის გადაფარვაზე რეკომენდაცია არ გაუციათ.

სააპელაციო საბჭოს თავმჯდომარემ, ირაკლი ბურდულმა დასვა დამაზუსტებელი კითხვა, სამი საგანმანათლებლო პროგრამა, რომელმაც პარალელურად გაიარეს აკრედიტაცია, იყო ერთი პროგრამის დაშლის შედეგად შედგენილი პროგრამები თუ არა. ასევე აინტერესებდა, ეს პროგრამებიც იგივე საბჭოს შემადგენლობის დროს იყო თუ არა განხილული.

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელმა ანკა თაბუკაშვილმა დაადასტურა ინფორმაცია და განმარტა, რომ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მოქმედმა შემადგენლობამ განიხილა სამივე საკითხი შემდეგი რიგითობით: პირველი იყო - „ვიზუალური კომუნიკაციის“ საბაკალავრო პროგრამა, შემდგომ „ვიზუალური ხელოვნების“ საბაკალავრო პროგრამა და ბოლოს, „ინტერიერის დიზაინის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა. ანკა თაბუკაშვილმა ასევე განმარტა, რომ სილაბუსები, რაც აღნიშნული საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის პროცესში წარედგინათ, ჯერ აკრედიტაციის ექსპერტებს და შემდგომ საბჭოს, არის იდენტური, რადგან სხვადასხვა პროგრამის სტუდენტები საერთო, საუნივერსიტეტო საგნებს ერთობლივად გადიან.

სააპელაციო საბჭოს თავმჯდომარემ ირაკლი ბურდულმა განაცხადა, რომ აკრედიტაციის დებულების მიხედვით საბჭოს შეუძლია დაამატოს რეკომენდაცია, შეცვალოს სტანდარტის შეფასება. მთავარი საკითხია, საბჭო როგორ ასაბუთებს განხორციელებული ცვლილების საჭიროებას, რა მიზანს ემსახურება, რა შინაარსისაა და ა.შ. სამწუხაროდ, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს წევრები არ ესწრებიან მიმდინარე სხდომას და მათი არგუმენტაციის მოსმენას ვერ შეძლებენ. სხდომის ოქმში საუბარია გარკვეულ საკითხებზე, მაგრამ ძირითადად ნარატიული ტექსტია. მისი აზრით, ოქმში დიდი მნიშვნელობა აქვს შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების დასაბუთების ნაწილს.

ვახტანგ ლეჟავამ განაცხადა, რომ ეთანხმება საბჭოს თავმჯდომარეს, მაგრამ მაინც საკამათოა საკითხი, როდესაც საერთაშორისო ექსპერტია ჩართული შეფასებაში და ამბობს, რომ პროგრამა კარგია და აკმაყოფილებს სტანდარტებს, და ამ დროს, საბჭო მას განუსაზღვრავს სხვა რეკომენდაციებს. მისთვის ეს საკითხი მიუღებელია. ასევე მნიშვნელოვანია, ის საკითხი, რომ აკრედიტაციის საბჭოს იგივე შემადგენლობა დროის მოკლე მონაკვეთში იხილავს საგანმანათლებლო პროგრამას, რომლის სტრუქტურაში წარმოდგენელია იგივე სასწავლო კურსები, და ამავდროულად, იქ არ აფიქსირებს იგივე შენიშვნებს. მან განაცხადა, რომ სხდომის მინდინარეობს დროსაც ვერ გამოვლინდა ისეთი საკითხები, რომ გაცემულიყო ასეთი მნიშვნელოვანი რეკომენდაციები, რომელიც ზევით არის მოცემული, თუნდაც პლაგიატთან დაკავშირებით. აღნიშნული რეკომენდაცია ასევე უნივერსიტეტის „რეპუტაციას“ უქმნის საფრთხეს, ამავე დროს საერთაშორისო ექსპერტი დასკვნაში აღწერს, რომ შეფასების პროცესი ისე ორგანიზებული, რომ უშუალოდ პროცესით არის უზრუნველყოფილი პლაგიატის გამორიცხვა.
საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელმა ანკა თაბუკაშვილმა ასევე განმარტა, რომ მათი მოსაზრებით, აკრედიტაციის საბჭო გადაწყვეტილებების მიღების პროცესში იყო არათანმიმდევრული, რადგან იგივე საკითხებზე, ერთი შემადგენლობის საბჭომ 2 მსგავს პროგრამაზე სხვადასხვა გადაწყვეტილება გამოიტანა, ამით დაწესებულებას წარმოექმნა ვალდებულება ანგარიშის წარმოდგენისთვის. მიუხედავად იმისა, რომ ოქმში ასახულია გარკვეულ საკითხებზე მსჯელობა, ოქმში აღნიშნულ რეკომენდაციების გაცემის საფუძვლზე დასაბუთება არ არის მოცემული.
საბჭოს წევრმა, აკაკი ხელაძემ კითხვით მიმართა საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლებს, მან აღნიშნა შემდეგ რეკომენდაციასთან დაკაშირებით:
- *„რეკომენდებულია, სასწავლო კურსის „კრიტიკული აზროვნება ვიზუალურ ხელოვნებაში“ შეფასების კომპონენტი „დასწრება“ გადაიხედოს და შესაბამისობაში მოვიდეს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის № 3 ბრძანებასთან“,*
მას აინტერესებდა, მსგავს პროგრამებშიც ხომ არ იყო სასწავლო კურსები, სადაც დასწრება არის სავალდებულო შეფასების კომპონენტი.
საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელმა ირინა პოპიაშვილმა განაცხადა, რომ სილაბუსებში „დასწრება“ როგორც შეფასების კომპონენტი წარმოდგენილი არ არის.

სახელოვნებო სტუდიურ საგნებზე არის შეფასების კომპონენტი „აქტივობა“, რადგან ამ საგნებზე სტუდენტთა დასწრება და აქტივობებში მონაწილეობა მნიშვნელოვანია სწავლის შედეგის მისაღწევად.

სააპელაციო საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, სურდათ თუ არა რაიმეს დამატება.
საბჭოს წევრებმა განაცხადეს, რომ მათ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები. საბჭოს თავმჯდომარემ გამოაცხადა სათათბირო შესვენება.

სათათბირო შესვენება:
დაწყების დრო: 17:29
დასრულების დრო: 17:45

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის "ვიზუალური ხელოვნების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოსთვის ხელახლა განსახილველად დაბრუნების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები
მომხრე - 8;
წინააღმდეგი - 0.

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ სააპელაციო საბჭოს წევრების ხმათა ერთსულოვნებით გადაწყდა, რომ შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის "ვიზუალური ხელოვნების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს აკრედიტაციის საბჭოს, შემდეგი მითითებებით: მიზანშეწონილია, აკრედიტაციის საბჭომ დეტალურად განიხილოს შინაარსობრივი საკითხები, რაზეც საუბრობდა მიმდინარე სხდომაზე დაწესებულება, ხოლო საბჭოს სხდომის ამსახველ დოკუმენტებში, გაიწეროს საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების დასაბუთება.

გადაწყვეტილება:

1. შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის საპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს სრულად;
2. “განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24^1 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28^5 მუხლის პირველი პუნქტისა და 28^7 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის "ვიზუალური ხელოვნების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.
3. მიეცეს მითითება საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს ცხადად და განჭვრეტადად გამოკვეთოს იმ (ახალ) რეკომენდაციათა შინაარსობრივი დასაბუთება, რომელიც, მიუხედავად საბოლოო დადებითი შედეგისა (აკრედიტაციის მინიჭება) პროგრამასთან დაკავშირებით, საბჭოს მიერ იქნა დამატებული და რომელმაც შესაძლოა გარკვეული გავლენა მოახდინოს პროგრამის ორგანიზაციულ განხორციელებაზე. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი იურიდიული არგუმენტაციისა და დასაბუთებულობის კიდევ უფრო მაღალ სტანდარტს უნდა ითვალისწინებდეს იმ

შემთხვევაში, როდესაც საკითხი უსდ-ისთვის დამატებითი მოთხოვნების დაწესებას ითვალისწინებს. სწორედ ფორმალურ-მატერიალური დასაბუთება აქცევს მსგავს (ადმინისტრაციულ ინდივიდუალურ-სამართლებრივ) აქტს განჭვრეტადს, პროგნოზირებადსა და ობიექტურად გამართულს, რომლის მიმართაც მხარეს მაღალი ნდობა ექნება (ეს დადგინდა კიდეც სააპელაციო საბჭოს მიერ ოქმით №214926, 26/02/2024, როგორც პრაქტიკა).

საკითხის განხილვის შემდეგ, სხდომა დახურულად გამოცხადდა 17:50 საათზე.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
სააპელაციო საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბურდული ირაკლი

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
სააპელაციო საბჭო
მდივანი
საბახტარიშვილი ანა